



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება №06-01/89

ქ. ბათუმი

14 აგვისტო, 2019 წ.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების  
შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი  
პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

4. დამტკიცდეს თანდართული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების  
ადმინისტრირების წესი“ (დანართი 1)
5. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. დადგენილება დაეზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და ყველა სტრუქტურულ  
ერთეულს.
7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოც. პროფესორი



მერაბ ხალვაში

## საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი“ (შემდეგში - „წესი“) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის (შემდეგში „სტუდენტი“) ან აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და შრომითი ხელშეკრულების მოწვეული მასწავლებლის/სპეციალისტის (შემდეგში „პერსონალი“ ან „დასაქმებული“) საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში (შემდეგში „გაცვლითი პროგრამა“) მონაწილეობის წინაპირობებს, განხორციელების პროცედურებს, კონკურსის ეტაპებს, სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების, ფინანსური ვალდებულების შესრულების, გაცვლითი პროგრამების დასრულების შემდეგ საგანმანათლებლო პროცესში დაბრუნების შემდეგ პროცედურებს, უცხოელი სტუდენტების მომსახურებისა და შესაბამისი გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების ადმინისტრირების წესს.

2. წინამდებარე წესის მიზანია უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ბსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის გაზრდა და პროგრამის გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად განხორციელება (ადმინისტრირება).

3. უნივერსიტეტის სტუდენტი და დასაქმებული უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რომლის ერთ-ერთი ხელშემკვრელი (მემორანდუმის) მხარეა უნივერსიტეტი („ბენეფიციარი“).

4. წინამდებარე წესის აღსრულებას კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შემდეგში „დეპარტამენტი“).

### მუხლი 2. გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია

1. ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ დეპარტამენტის ინიციატივით ვრცელდება საუნივერსიტეტო სტუდენტური პორტალის ([portal.bsu.edu.ge](http://portal.bsu.edu.ge)) მეშვეობით (სამსახურებრივი ბარათი წარედგინება ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს), დეპარტამენტის მიერ ინიცირებული საინფორმაციო შეხვედრამდე 10 დღით ადრე. ინფორმაცია ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, დეპარტამენტის სოციალურ ქსელში (FACEBOOK-გვერდზე) და დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან და უნივერსიტეტის სხვა საინფორმაციო დაფებზე.

2. სასწავლო სემესტრის დაწყებიდან მეორე კვირაში ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ბსუ-ში არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრას.

### **მუხლი 3. გაცვლითი პროგრამის მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადება და დოკუმენტაციის წარმოდგენა**

1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის უფლების მოპოვება ხორციელდება კონკურსის გზით, მათ შორის **ერაზმუს +** გაცვლით პროგრამაში - სპეციალურად შექმნილი საკონკურსო ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით.

2. კონკურსი ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრისათვის, თუ შესაბამისი პროგრამით სხვა თარიღი არ არის განსაზღვრული.

3. სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე, ბსუ-ს რექტორს წარუდგენს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობის განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე სამსახურებრივ ბარათს (აღნიშნული დროისთვის დეპარტამენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით), რომელშიც უნდა მიეთითოს კონკურსის ვადების, ეტაპების, პირობების, შეფასების კრიტერიუმები და კომისიის წევრების სავარაუდო შემადგენლობა.

4. **ერაზმუს +** გაცვლითი პროგრამის მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციის/პროექტის მმართველი რგოლის/გამოქვეყნებული ცნობარით/დებულებით (ვადა, გაცვლითი პროგრამის სახე/ტიპი, ხანგრძლივობა და ა.შ. ასახულია ინსტიტუტთაშორის ხელშეკრულებაში/პროტოკოლში/მემორანდუმში).

5. **ერაზმუს+** გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში კონკურსანტების დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად, შესაბამისი ელექტრონული ბმულის (<http://registration.bsu.ge/Results-1.php>) მეშვეობით და ასევე მატერიალური სახით - ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით. სხვა გაცვლითი პროგრამების შემთხვევაში კონკურსანტების დოკუმენტაციის მიღება ხორციელდება ელექტრონულად, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე და კანცელარიაში, ასევე მატერიალური სახით - ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით.

6. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) ბსუ-ს აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს;

ბ) აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ მასწავლებელს/სპეციალისტს (ბსუ-ს სასწავლო პროცესში არანაკლებ ბოლო 3 წლის სამუშაო გამოცდილების შემთხვევაში).

7. კონკურსის მონაწილე ვალდებულია დაიცვას საკონკურსო პირობები, პროცედურები და ვადები.

8. საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის გასვლამდე დასაშვებია უკვე წარმოდგენილ (ატვირთული) საკონკურსო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამოსწორება (ხელახლა ატვირთვა), რაც იმავდროულად კონკურსანტის მიერ წერილობით უნდა ეცნობოს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს. ამ შემთხვევაში კომისია განიხილავს ხელახლა წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადს.

9. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები უნივერსიტეტი აცხადებს **ერაზმუს+** გაცვლითი პროგრამის კონკურსს ონლაინ რეჟიმში, კონკურსანტთა დოკუმენტაციის წარდგენა ხდება

ონლაინ რეჟიმში, მიმღები უნივერსიტეტის შესაბამისი პროექტის [ელექტრონულ ბმულზე](#) და შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება - მიმღები უნივერსიტეტის მიერ. გამონაკლის შემთხვევებში, მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნით დასაშვებია იმ კონკურსანტების ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მიერ შეფასება, ვინც გაიარა მიმღები უნივერსიტეტის მიერ კონკურსის შესარჩევი კრიტერიუმების მიხედვით შეფასების პირველი ეტაპი. ასეთ შემთხვევაში დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

#### **მუხლი 4. ერაზმუს + გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში ბსუ-ს სტუდენტის მონაწილეობის პირობები და წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. ერაზმუს + გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტი (სტუდენტი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1.1. უნდა იყოს ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე:

ა) III, IV, V ან VI სემესტრის სტუდენტი - ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში;

ბ) პირველი სასწავლო წლის სტუდენტი - მაგისტრატურის საფეხურის შემთხვევაში;

გ) I, II, III, IV, V ან VI სემესტრის სტუდენტი - დოქტორანტურის საფეხურის შემთხვევაში. ამასთან, VI სემესტრის დოქტორანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის მიერ მომზადებული ცნობა იმის შესახებ, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით ამ დოქტორანტს უხანგრძლივდება ბსუ-ში სწავლის ვადა (უწევს სემესტრის ან სასწავლო წლის დამატება).

1.2. არ უნდა ჰქონდეს მოპოვებული ერაზმუს მუნდუსის/ერაზმუს+-ის გრანტი ანალოგიურ საფეხურის (ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის ან დოქტორანტურის) სტუდენტებისათვის;

1.3. ბოლო 5 წლის განმავლობაში 12 თვეზე მეტი ვადით არ უნდა იყოს ნაცხოვრები (არ უნდა ჰქონდეს გატარებული 12 თვეზე მეტი) ევროკავშირის ქვეყანაში;

1.4. საკონკურსო განაცხადი უნდა შეიტანოს იმ საფეხურის საგანმანათლებლო სტუდენტებისათვის განსაზღვრულ კონკურსში, რომელზეც ირიცხება კონკურსის მიმდინარეობისას;

1.5. საკონკურსო განაცხადის წარდგენის პერიოდისათვის უნდა სწავლობდეს მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაზე ან/და გადიოდეს ამ დარგის შესაბამის სასწავლო კურსებს (MINOR -პროგრამის ჩათვლით).

2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა (სტუდენტმა) უნდა წარმოადგინოს:

##### **2.1. ბაკალავრიატის სტუდენტმა:**

ა) პირადობის მოწმობის / საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ქართულ ენაზე);

გ) Europass CV (ინგლისურ ენაზე);

დ) მოტივაციის წერილი არაუმეტეს 1 გვერდისა (ინგლისურ ენაზე);

ე) ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე);

ვ) ინდივიდუალური სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლის ხელმოწერით (ქართულ ენაზე);

ზ) ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ცნობა (ინგლისურ ენაზე თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

თ) სასწავლო ხელშეკრულება, შეთანხმებული შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან;

ი) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

## **2.2. მაგისტრატურის სტუდენტმა:**

ა) პირადობის მოწმობის / საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ქართულ ენაზე);

გ) Europass CV (ინგლისურ ენაზე);

დ) მოტივაციის წერილი არაუმეტეს 1 გვერდისა (ინგლისურ ენაზე);

ე) ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე);

ვ) ინდივიდუალური სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლის ხელმოწერით (ქართულ ენაზე);

ზ) ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ცნობა (ინგლისურ ენაზე თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

თ) სასწავლო ხელშეკრულება, შეთანხმებული შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან;

ი) ბაკალავრიატის საფეხურის გავლის დამადასტურებელი დიპლომის დანართი (ინგლისურ ენაზე);

კ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

## **2.3. დოქტორანტურის სტუდენტმა:**

ა) პირადობის მოწმობის / საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ქართულ ენაზე);

გ) Europass CV (ინგლისურ ენაზე);

დ) მოტივაციის წერილი არაუმეტეს 1 გვერდისა (ინგლისურ ენაზე);

ე) ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე);

ვ) ინდივიდუალური სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლის ხელმოწერით (ქართულ ენაზე);

ზ) ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ცნობა (ინგლისურ ენაზე თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

თ) სასწავლო ხელშეკრულება, შეთანხმებული შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან;

ი) მაგისტრატურის საფეხურის გავლის დამადასტურებელი (ან მაგისტრთან გათანაბრებული) დიპლომის დანართი (ინგლისურ ენაზე);

კ) დაინტერესების წერილი (Letter of Interest) მასპინძელი უნივერსიტეტიდან;

ლ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

3. კანდიდატს უფლება აქვს სწავლის უფლების მოსაპოვებლად შეიტანოს განაცხადი მისთვის სასურველ უნივერსიტეტში (არაუმეტეს 3 უნივერსიტეტისა).

## მუხლი 5. ერაზმუს + გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში პერსონალის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და კონკურსის საფუძველზე შერჩევა

1. ერაზმუს+ გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტი (პერსონალის წარმომადგენელი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს ბსუ-ს სამტატო განრიგით გათვალისწინებულ აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებული პირი ან სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული მასწავლებელი/სპეციალისტი, ბსუ-ს სასწავლო პროცესში არანაკლებ ბოლო 3 წლის სამუშაო გამოცდილებით);

ბ) არ არის მისაღები დასაქმებულის ერთი და იმავე უნივერსიტეტში ერთზე მეტი მობილობის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმღები უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია დამატებითი მოთხოვნა (კორესპონდენცია).

2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა (დასაქმებულმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის/საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა დასაქმების ადგილიდან, დაკავებული თანამდებობის თაობაზე (ქართულ ენაზე);

გ) უცხო ენის B2 ან C1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად;

დ) Europass CV (ინგლისურ ენაზე);

ე) რეკომენდაციის წერილი(ინგლისურ ენაზე);

ვ) მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე);

ზ) მობილობის პერიოდში განსახორციელებელი საქმიანობის გეგმა (ინგლისურ ენაზე);

თ) წინასწარი მოწვევის (დაინტერესების) წერილი (Letter of Interest/Pre-Acceptance Letter/Mobility Agreement) პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურის (დეპარტამენტის/სამსახურის/ოფისის) უფლებამოსილი წარმომადგენლისგან, რომელიც მობილობის პერიოდში უშუალო მასპინძლობას გაუწევს დასაქმებულს (ინგლისურ ენაზე). მასპინძელი/მიმღები უნივერსიტეტის ამ წერილში უნდა იყოს დაკონკრეტებული: შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტიდან/მიმართულებიდან ჩასატარებელი ლექციების განრიგი, საათები და თარიღები - სასწავლო პროცესის განმახორციელებელი ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ან მოწვეული მასწავლებლის/სპეციალისტის მობილობის შემთხვევაში, ხოლო განსახორციელებელი სხვა აქტივობები (საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობა, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა/გაზიარება ან/და სხვა) - ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობის პირის მობილობის შემთხვევაში;

ი) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

3. პერსონალის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ხდება ელექტრონულ ბმულებზე <http://registration.bsu.ge/Results-1.php> და ასევე მატერიალური სახით - ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით.

4. შესარჩევი კონკურსის ეტაპებია:

ა) დადგენილი წესისა და ვადის შესაბამისად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ უნივერსიტეტებში გადაგზავნა;

ბ) მიმღები უნივერსიტეტის მიერ კანდიდატთა შერჩევა (აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შესაძლებელია ჩაუტარდეთ Skype-ის მეშვეობით გასაუბრება) და სტიპენდიაზე ნომინირება.

5. კანდიდატთა შერჩევის წესი და პროცედურები შეიძლება შეიცვალოს, კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად.

## **მუხლი 6. მევლანას გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში ბსუ-ს სტუდენტის მონაწილეობის პირობები და წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. მევლანას გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტი (სტუდენტი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი;

ბ) საკონკურსო განაცხადი უნდა შეიტანოს იმ საფეხურის საგანმანათლებლო სტუდენტებისათვის განსაზღვრულ კონკურსში, რომელზეც ირიცხება კონკურსის მიმდინარეობისას;

გ) კონკურსანტის აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა უნდა იყოს: ბაკალავრიატის სტუდენტის შემთხვევაში - საშუალო ქულა (GPA) - მინიმუმ 2,5; მაგისტრატურისა ან დოქტორანტურის სტუდენტის შემთხვევაში - საშუალო ქულა (GPA)- მინიმუმ 3;

დ) უნდა ფლობდეს ინგლისურ ან/და თურქულ ენას - მინიმუმ B1 დონეზე;

ე) საკონკურსო განაცხადის წარდგენის პერიოდისათვის უნდა სწავლობდეს მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაზე ან/და გადიოდეს ამ დარგის შესაბამის სასწავლო კურსებს (MINOR -პროგრამის ჩათვლით).

2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა (სტუდენტმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე);

ბ) ცნობა უცხო ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ (ინგლისური ან/და თურქული);

გ) მევლანას პროგრამით შემოთავაზებული სპეციალური აპლიკაციის შევსებული ფორმა.;

დ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

## **მუხლი 7. მევლანას გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში ბსუ-ს პერსონალის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და კონკურსის საფუძველზე შერჩევა**

1. მევლანას გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია იმ კონკურსანტს, რომელიც საკონკურსო განაცხადის წარდგენისა და ასევე მობილობის პერიოდში იქნება ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული.

2. ბსუ-ს აკადემიურ თანამდებობის პირმა ამ კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მევლანას პროგრამით შემოთავაზებული სპეციალური ფორმის შესაბამისად შევსებული აპლიკაცია;

ბ) CV (ინგლისურ) ენაზე;

გ) მობილობის პერიოდში მიმღებ/მასპინძელ უნივერსიტეტში განსახორციელებელი აკადემიური საქმიანობის გეგმა (ინგლისურ ენაზე);

დ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

3. პერსონალის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ხდება კონკურსის გამოცხადების აქტის შესაბამისად (ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით).

4. შესარჩევი კონკურსის ეტაპებია:

ა) დადგენილი წესისა და ვადის შესაბამისად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ უნივერსიტეტებში გადაგზავნა;

ბ) მიმღები უნივერსიტეტის მიერ კანდიდატთა შერჩევა და სტიპენდიაზე ნომინირება.

5. კანდიდატთა შერჩევის წესი და პროცედურები შეიძლება შეიცვალოს, კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად.

## **მუხლი 8. მემორანდუმის ფარგლებში საერთაშორისო გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობის პირობები და წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. მემორანდუმის ფარგლებში საერთაშორისო გაცვლით პროგრამაზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი (სტუდენტი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე;

ბ) უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B1 დონეზე.

2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა (სტუდენტმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის/საერთაშორისო პასპორტის ასლი;

ბ) CV (ინგლისურ ენაზე);

გ) ნიშნების ფურცელი (ქართულ ენაზე);

დ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

## **მუხლი 9. კონკურსის ეტაპები და კონკურსანტთა ინფორმირება**

1. კონკურსის ჩატარებასა და კანდიდატთა (სტუდენტთა) შერჩევის პროცესს ორგანიზებას უწევს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, რექტორის მოადგილის კოორდინირებით.

2. კონკურსის ეტაპებია:

ა) ბსუ-ს კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის პირველადი გადარჩევა (კონკურსის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) - I ეტაპი;

ბ) გასაუბრება ბსუ-ს კომისიასთან - II ეტაპი;

გ) ნომინირება (ბსუ-ს კომისიის მიერ კანდიდატის შერჩევა და მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტისათვის წარდგენა) - III ეტაპი;

დ) მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ კანდიდატის საბოლოო შერჩევა და კანდიდატის თანხმობა - IV ეტაპი.

3. კონკურსის I ეტაპზე ბსუ-ს კომისიის მიერ ხორციელდება კონკურსანტთა დოკუმენტაციის პირველადი გადარჩევა, კონკურსის ძირითად მოთხოვნებთან კანდიდატის



მონაცემებისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კერძოდ:

- ა) თანდართულია თუ არა ყველა სავალდებულო დოკუმენტი;
- ბ) სწორად არის თუ არა შედგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია;
- გ) კანდიდატის სწავლების საფეხური და სწავლების წელი/სემესტრი რელევანტურია თუ არა კონკურსის პირობასთან;
- დ) კანდიდატის უცხო ენის ცოდნის დონე ან/და ამის დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტი შეესაბამება თუ არა საკონკურსო მოთხოვნას;
- ე) იგივე საფეხურზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება, ასევე ევროკავშირის ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა შეესაბამება თუ არა საკონკურსო მოთხოვნას;
- ვ) სხვა გარემოებები, კონკრეტული საკონკურსო მოთხოვნების გათვალისწინებით.

**4. განიხილება** მხოლოდ სრულყოფილად წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. არასრულად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

**5. გასაუბრება ბსუ-ს კომისიასთან (II ეტაპი)** მოიცავს შემდეგი კომპონენტების შეფასებას (მაქსიმალური 100 ქულა):

- ა) კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები - მაქსიმალური შეფასების 40 %, მათ შორის, აკადემიური მოსწრება - 30%, CV – 5 %, ხოლო სამოტივაციო წერილი - 5 %;
- ბ) უცხო ენის ცოდნის დონე - მაქსიმალური შეფასების 40 % (გამსვლელი ქულა - 100 ქულიანი ტესტის არანაკლებ 71 ქულა; კანდიდატის შეფასება გამოითვლება შემდეგი პროპორციის გათვალისწინებით: 100 ქულა=მაქსიმალურ შეფასებას 40 ქულას).
- გ) გასაუბრება კომისიასთან (დარგობრივი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, პრეზენტაბელურობა, ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა) - მაქსიმალური შეფასების 20 %.

**6. კონკურსანტთა შეფასება** ხორციელდება კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით, შესაბამისი გაცვლითი პროგრამის პირობებისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**7. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება და უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც არ უსარგებლია** ევროკავშირის გაცვლითი პროგრამით ან/და აქვს სოციალურ-ეკონომიური ან ჯანმრთელობის პრობლემები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

**8. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი** უზრუნველყოფს:

- ა) კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის/გადაწყვეტილებების (ეტაპების: ტესტირების, საბუთების გადარჩევის, გასაუბრების განრიგის და შედეგების შესახებ) ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებას („კონკურსები“ და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის „სიახლეების“ ველში) და დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსებას;
- ბ) კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვების შესახებ კონკურსანტების ინფორმირებას, მათ მიერ საკონკურსო განაცხადებში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან/და ტელეფონის ნომერზე;
- გ) ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების მიმღებ უნივერსიტეტებში დადგენილ ვადაში გაგზავნას;

დ) კონკურსის საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებას და დეპარტამენტთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ბსუ-ს საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებისა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

### **მუხლი 10. კონკურსანტთა (სტუდენტების) უცხო ენის ცოდნის შეფასება**

1. გაცვლითი პროგრამის მონაწილის შესარჩევ კონკურსში კონკურსანტთა უცხო ენის ცოდნის (ფლობის) დონის (რომელიც მოეთხოვებათ შესაბამისი გაცვლითი პროგრამით) განსაზღვრა ხდება ბსუ-ში ტესტირების გზით (თუ შესაბამისი გაცვლითი პროგრამით, საერთაშორისო ხელშეკრულებით/მემორანდუმით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან/და კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არ არის უცხო ენის ცოდნის განმსაზღვრელი საერთაშორისო სერტიფიკატი, გაცემული შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში).

2. უცხო ენის ცოდნის შეფასებას ეთმობა კონკურსის ყველა კომპონენტის საერთო შეფასების (100 ქულის) 40 %. უცხო ენის ტესტი 100 ქულიანია, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 71 ქულა.

3. უცხო ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირება ტარდება ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთობლივი ორგანიზებით.

4. სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ბსუ-ს რექტორს წარუდგენს გამოცდის ჩატარების შესახებ სამსახურებრივ ბარათს (ტესტირების სავარაუდო თარიღის, უცხო ენის და მისი დონის შესაბამისი საგამოცდო ტესტების, სავარაუდო კანდიდატების რაოდენობის მითითებით).

5. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს ტესტირების შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენას.

6. სტუდენტს უფლება აქვს საგამოცდო ცენტრში ტესტირების შედეგის მიღებისთანავე გაასაჩივროს მიღებული შეფასება და იმავე დღესვე ბსუ-ს კანცელარიის (ან სტუდენტური პორტალის) მეშვეობით წარმოადგინოს დასაბუთებული საჩივარი. სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად აცნობებს შედეგს შესაბამის კონკურსანტს.

### **მუხლი 11. გასაუბრების ეტაპი და საკონკურსო კომისია**

1. კონკურსის მე-2 ეტაპზე - გასაუბრებაზე (კონკურსანტის დარგობრივი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, პრეზენტაბელურობა, ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობის დასადგენად) დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსის პირველ ეტაპს ((კონკურსის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსო დოკუმენტაციის პირველადი გადარჩევა და უცხო ენის ცოდნის დონის შეფასება).

2. გასაუბრების ეტაპის შეფასებას ეთმობა კონკურსის ყველა კომპონენტის საერთო შეფასების (100 ქულის) 20 %.

3. გასაუბრება ტარდება ბსუ-ს საკონკურსო კომისიასთან, ქართულ და მასპინძელი/მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამის უცხო ენაზე.

4. ბსუ-ს საკონკურსო კომისიის ძირითადი წევრები არიან: რექტორის მოადგილე; სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დასაქმებული და შესაბამისი ფაკულტეტების დეკანი/დეკანის მოადგილე. კომისიის ამ შემადგენლობას ერაზმუს+ გაცვლით პროგრამის შემთხვევაში ემატება: ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი და უფროსის მოადგილე (პროგრამის კოორდინატორი); ფსიქოლოგი.

5. კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად ავსებს გასაუბრების შეფასების ფურცელს და ადასტურებს თავისი ხელმოწერით. კონკურსანტის საბოლოო შეფასების მისაღებად ჯამდება კომისიის წევრთა შეფასებები (ქულები) და იყოფა კომისიის წევრთა რაოდენობაზე.

6. გასაუბრების შედეგი სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე („კონკურსები“ და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებში) და დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

7. საკონკურსო კომისიის მდივანი (დეპარტამენტის დასაქმებული - კომისიის წევრი ან კომისიის მიერ არჩეული სხვა წევრი) აწარმოებს საკონკურსო კომისიის, მათ შორის გასაუბრების სხდომის ოქმს.

## **მუხლი 12. კანდიდატთა ნომინირება**

1. გაცვლითი პროგრამის მონაწილეთა შესარჩევი კონკურსის III ეტაპზე ხორციელდება ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტისათვის წარდგენა - **ნომინირება**.

2. ნომინირების **მიზნით ბსუ-ს** სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი:

ა) ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით ადგენს კანდიდატთა სიას, მათ მიერ შერჩეული უნივერსიტეტების მიხედვით;

ბ) კანდიდატთა სიას, მათ სააპლიკაციო დოკუმენტებთან ერთად, დადგენილ ვადებში უგზავნის მიმღებ უნივერსიტეტს, კანდიდატთა საბოლოო შერჩევისათვის;

გ) მიმღები უნივერსიტეტიდან წარდგენილი კანდიდატების შესახებ საბოლოო შედეგების მიღების შემდეგ დეპარტამენტი გამარჯვებულ კანდიდატებს ატყობინებს (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე) კონკურსის შედეგს და განუსაზღვრავს ვადას (არაუმეტეს 5 სამუშაო დღე) ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით გაცვლითი პროგრამაში შესაბამის უნივერსიტეტში მონაწილეობაზე (მობილობა) წერილობითი თანხმობის წარმოსადგენად. აღნიშნული თანხმობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რამდენიმე მიმღები უნივერსიტეტის მოწვევის შემთხვევაშიც.;

დ) დეპარტამენტი კანდიდატებისგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ამზადებს კანდიდატების ნომინირების თაობაზე უნივერსიტეტისაგან (ავტორი რექტორი) მიმღებ უნივერსიტეტში გასაგზავნ წერილს.

## **მუხლი 13. სასწავლო ხელშეკრულება და სტიპენდია**

1. ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის კონკურსში გამარჯვებული სტუდენტი კონკურსისთვის წარმოდგენილ სასწავლო ხელშეკრულებას საბოლოოდ ათანხმებს (ხელმოწერებით ადასტურებენ) ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან (გამონაკლის შემთხვევაში ბსუ-ს ერაზმუს+

გაცვლითი პროგრამის ბსუ-ს კოორდინატორთან) და მიმღები უნივერსიტეტის პასუხისმგებელ პირთანა. აღნიშნული თანხმობა გულისხმობს სასწავლო ხელშეკრულებაში აღნიშნული სასწავლო კურსების გავლაზე და შემდეგში შესაბამისი ოდენობით კრედიტების აღიარებაზე, წინასწარ ვალდებულებას.

2. ევროკომისიისა და თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების აღმასრულებელი საბჭოს მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამების (**ერაზმუს+ და მევლანას გაცვლითი პროგრამების**) ფარგლებში ნომინირებულ კანდიდატებს (სტუდენტებსა) და მიმღებ უნივერსიტეტებს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას და აუნაზღაურდება მობილობისათვის სამგზავრო ხარჯები.

3. სტიპენდიას გასცემს მასპინძელი/მიმღები უნივერსიტეტი. სტიპენდიის გაცემის წესი შესაძლოა განსხვავდებოდეს კონკრეტული უნივერსიტეტის ან ქვეყნის შიგნით არსებული რეგულაციების მიხედვით. სტიპენდიისა და მგზავრობის ანაზღაურების საკითხს, შერჩეული კანდიდატი, მობილობის დაწყებამდე აზუსტებს/ათანხმებს მიმღებ უნივერსიტეტთან (საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატს შეუძლია მიმართოს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს კონსულტაციისა და მიმღებ უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში დახმარებისათვის).

4. შერჩეული კანდიდატი ეცნობა და თანხმობის შემთხვევაში ხელს აწერს **ცნობარს სტუდენტისათვის** (თანდართული ფორმა) სადაც აღწერილია სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით.

5. თუ მიმღები უნივერსიტეტი სტუდენტთან გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებაზე მოითხოვს მესამე პირის - ბსუ-ს წარმომადგენლის ხელმოწერას, რაც გულისხმობს იმას, რომ ბსუ იღებს ფინანსურ პასუხისმგებლობას ნომინირებულ კანდიდატზე, რომელიც არ დაასრულებს მობილობის პერიოდს საზღვარგარეთ/არ შეასრულებს ინდივიდუალური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, რომლის შედეგადაც მობილობა ჩაითვლება არასრულყოფილად ერაზმუს+ ეროვნული სააგენტოს მიერ". ბსუ-ს წარმომადგენლის მიერ საგრანტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე, შესაბამისი ნომინირებული კანდიდატი (სტუდენტი) იღებს ვალდებულებას საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში ბსუ-ს მიერ სტუდენტის ფინანსური ვალდებულების დაფარვის მიზნით გაღებული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს უნივერსიტეტს. სტუდენტის მიერ ამ ვალდებულების აღება დასტურდება სტუდენტთან ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით.

#### **მუხლი 14. ნომინირებული კანდიდატის (სტუდენტის) ვალდებულებები ბსუ-ს მიმართ**

1. **ნომინირებული კანდიდატი** (გამარჯვებული სტუდენტი) ბსუ-ს მიმართ ვალდებულია:

ა) თუ უარს ამბობს სტიპენდიაზე, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წერილობით აცნობოს უნივერსიტეტს (სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს) და მასპინძელ უნივერსიტეტს, მობილობის დაწყებამდე;

ბ) ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამისი უნივერსიტეტში გამგზავრების თაობაზე, სადაც იქნება დეტალურად აღწერილი

პროგრამის ვადები, განხორციელების პერიოდი, ქვეყანა, უნივერსიტეტი და ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების დრო;

გ) მასპინძელ/მიმღებ უნივერსიტეტში მობილობის ვადის ცვლილების შემთხვევაში წერილობით აცნობოს ბსუ-ს (ოფიციალურ ფოსტაზე) და დეპარტამენტს და წარმოადგინოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) გამგზავრებამდე მოამზადოს სასწავლო ხელშეკრულება, მობილობის პერიოდში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება შეუთანხმოს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, ამასთან, უნდა ორმხრივად (გამგზავნი/მიმღები უნივერსიტეტიდან) ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება;

ე) მობილობის პერიოდის დასრულებისა და მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ გამოცხადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში, ბსუ-ს სასწავლო პროცესში ჩართვისა და კრედიტების აღიარების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად;

ვ) მობილობის პერიოდის დასრულებისა და მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ იმოქმედოს მობილობის პერიოდში ათვისებული კრედიტების აღიარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების მიხედვით. ამ მიზნით უნდა წარმოადგინოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი და საბოლოო, ორმხრივად ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება (მობილობის დაწყებამდე მომზადებული გვერდი და მობილობის დროს შეტანილი ცვლილებების გვერდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კრედიტების აღიარების შემდეგ მიაწოდოს ინფორმაცია აღიარებული კრედიტების შესახებ შესაბამის ფაკულტეტსა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.

## **მუხლი 15. გაცვლითი პროგრამის კონკურსში გამარჯვებული სტუდენტის ვალდებულებები მიმღებ უნივერსიტეტთან**

1. ნომინირებული კანდიდატი (გამარჯვებული სტუდენტი) მიმღები/მასპინძელი უნივერსიტეტის მიმართ ვალდებულია:

ა) დაიცვას შესაბამის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადები და მიაწოდოს საჭირო საბუთები და ინფორმაცია დროულად;

ბ) მიმღებ უნივერსიტეტთან გაარკვიოს/შეათანხმოს სავიზო პროცედურებთან, დაზღვევასთან და სტიპენდიასთან დაკავშირებული საკითხები;

გ) მოაწესრიგოს პირადი საერთაშორისო პასპორტი;

დ) მასპინძელ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოაგვაროს მასპინძელ ქვეყანაში საცხოვრებლის საკითხი (ნებისმიერი სახის ცვლილება შეათანხმოს წერილობით მასპინძელ უნივერსიტეტს);

ე) მიმღებ უნივერსიტეტში ჩასვლისთანავე დაუკავშირდეს გაცვლითი პროგრამის ადგილობრივ კოორდინატორს და მობილობის პერიოდში სისტემატურად აწარმოოს მასთან კომუნიკაცია; გაითვალისწინოს ადგილობრივი კოორდინატორის მითითებები;

ვ) დაიცვას მიმღები უნივერსიტეტის მიერ მობილობის დაწყებისა და დასრულების, ასევე მგზავრობისთვის დადგენილი ვადები;

ზ) მობილობის პერიოდში მიმღები ქვეყნიდან გასვლის დრო და ვადები წინასწარ შეათანხმოს ადგილობრივ კოორდინატორთან.

### **მუხლი 16. ნომინირებული კანდიდატის (პერსონალის) ვალდებულებები**

1. ნომინირებული კანდიდატი (პერსონალის წარმომადგენელი) ვალდებულია:

- ა) შეასრულოს მობილობისათვის განსაზღვრული ყველა აქტივობა (ჩაატაროს ლექციები, დაესწროს შეხვედრებს და სხვა), თანახმად სამუშაო გეგმისა;
- ბ) მობილობის დასრულებისა და მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნებისთანავე წარმოადგინოს სამსახურებრივი ბარათი (ანგარიში) შესრულებული სამუშაოების შესახებ (განხორციელებული აქტივობის აღწერილობა და ფოტომასალა).

### **მუხლი 17. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოელი სტუდენტის ბსუ-ში მობილობა**

1. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან (ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) თანამშრომლობით უზრუნველყოფს გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტის ბსუ-ში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (უნივერსიტეტში უკვე არსებული ქართული და უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება, უცხოელი სტუდენტებისთვის სპეციალური კურსების მომზადება და სხვ.).

2. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ, დეპარტამენტი ამზადებს სტუდენტთან გასაფორმებელ სასწავლო ხელშეკრულებას (learning agreement), რომელსაც ხელს აწერენ ბსუ-ს მხრიდან: ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (ან მოადგილე) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ხოლო სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტის მხრიდან - შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

3. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი უცხოელი სტუდენტის შესახებ ინფორმაციას (მობილობის აქტს, სასწავლო ხელშეკრულებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასლებს და სხვა წერილობით ინფორმაციას) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გადასცემს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სტუდენტის სასწავლო პროცესთან და საუნივერსიტეტო სერვისებთან დაკავშირებულ მხარდაჭერას, მათი კომპეტენციების ფარგლებში, მათ შორის ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით (სტუდენტთა საერთო საცხოვრებელის ადმინისტრაცია - საერთო საცხოვრებელში ფართის გამოყოფის საჭიროების შემთხვევაში; საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან - სტუდენტის სტიპენდიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისათვის).

5. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული) უცხოელი სტუდენტის მოსწრების შესახებ (შეფასების უწყისს) აწვდის ფაკულტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც აღნიშნული ინფორმაციას აღრიცხავს ბსუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად (სტუდენტური პორტალი ან/და სხვა). ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტის მოსწრების შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა

დეპარტამენტისათვის წერილობით გაგზავნას, რომელიც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ნიშნების ფურცელს (Transcript of records) ინგლისურ ენაზე.

6. ნიშნების ფურცელს (Transcript of records) ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და უნდა დამოწმდეს ბსუ-ს კანცელარიის ბეჭდით.

7. უცხოელი სტუდენტს ბსუ-ში სწავლასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურებას უწევს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

**ცნობარი სტუდენტისათვის!**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიერ შემოთავაზებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამა ითვალისწინებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ სტუდენტთა ინდივიდუალურ მობილობას ევროპულ უნივერსიტეტებში .

**სტიპენდია და სავიზო პროცედურა:**

**მობილობის ფარგლებში სტუდენტზე გასაცემი სტიპენდია მოიცავს:**

1. უფასო სწავლა;
2. ყოველთვიური სტიპენდია;
3. მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება.

**სტიპენდია არ ანაზღაურებს სავიზო ხარჯებს და საერთაშორისო დაზღვევას!!!**

✓ ერაზმუს+ სტიპენდია არ ფარავს ვიზის გადასახადისა და ვიზის მიღებისათვის უცხოეთში ან თბილისში გამგზავრების თანხას;

✓ ერაზმუს+ სტიპენდიის გაცემა ხდება მხოლოდ ევროპული უნივერსიტეტების მიერ (ევროკომისიასთან შეთანხმებით), რაც ხშირ შემთხვევაში გარკვეულ ვადებთან არის დაკავშირებული. სტიპენდიების ჩარიცხვა ხდება ინდივიდუალურად, ქვეყნების მიხედვით, და შესაძლოა შეფერხდეს სტუდენტის მიერ მიმღებ უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების დროს.

✓ ბსუ-ს არ ეკისრება ფინანსური ვალდებულებები გამარჯვებული სტუდენტის წინაშე, რადგან აღნიშნული გაცვლითი პროგრამა სრულად ფინანსდება ევროკომისიის მიერ.

✓ მიმღებ უნივერსიტეტსა და გამარჯვებულ სტუდენტს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება, რომელშიც დაწვრილებით გაწერილია ორივე მხარის ფინანსური ვალდებულებები. სტუდენტის მოვალეობაა ხელმოწერამდე ყურადღებით გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს.

**გავეცანი წინამდებარე ცნობარს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესს“, ვეთანხმები და ვადასტურებ ხელმოწერით:**

სტუდენტის სახელი, გვარი და ხელმოწერა

სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, საკონტაქტო ნომერი და ხელმოწერა

თარიღი: